

ორთოდონტია 1

VII სემესტრი

თემატური გეგმა:

ლექციები

- ორთოდონტია და ბავშვთა პროტეზირება როგორც საგანი; ორთოდონტიის განვითარების ისტორია; კბილების ამოჭრის ურთიერთკავშირი ყბების ზრდასა და ყბაკბილთა სისტემის ფორმირებაზე;
- სარძევე, ცვლადი, მუდმივი, თანკბილვის დახასიათება; ღეჭვის, ყლაპვის, სუნთქვის, მეტყველების, ნორმა-პათოლოგია; ორთოგანთიის ნიშნები;
- ყბა-კბილთა ანომალიების კლასიფიკაცია; ყბა-კბილთა სისტემის ეტიოლოგია და პათოგენეზი; ორთოდონტიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები; (კლინიკური, ბიომეტრიული, ანტროპომეტრიული, რენტგენოლოგიური, ფუნქციური, ფოტომეტრიული)
- კბილთა ანომალიები; რიცხვის ზომის, ფორმის, დგომის, ამოჭრის ვადების, მაგარი ქსოვილების, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.

პრაქტიკული მეცადინეობები

- ორთოდონტია და ბავშვთა პროტეზირება
- არსი, შინაარსი. - ორთოდონტიის განვითარების ისტორია.
- კბილების ამოჭრის ურთიერთკავშირი ყბების და ყბა-კბილთა სისტემის ფორმირებაზე.
- სარძევე ცვლადი მუდმივი თანკბილვის დახასიათება და ასაკობრივი თავისებურებანი.
- ღეჭვა, ყლაპვა, სუნთქვა, მეტყველება - ნორმა და პათოლოგია.
- ორთოდონტიის ნიშნები.
- ყბა-კბილთა სისტემის ანომელების ეტიოლოგია და პათოგენეზი.
- ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების კლასიფიკაცია.
- ორთოდონტიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები (კლინიკური, ბიომეტრიული, ანტროპომეტრიული, რენტგენოლოგიური, ფუნქციური, ფოტომეტრიული)
- კბილთა ანომალიები - კბილთა რაოდენობა, ზომა, ფორმა: ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
- კბილთა ანომალიები - დგომის, ამოჭრის ვადების, მაგარი ქსოვილების: ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.

აკადემიური მოსწრების შეფასების კრიტერიუმები:

პროგრამაში გამოიყენება ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი;

- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81 – 90 %;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80 %;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61 – 70 %;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51 – 60 %;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (Fx) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41 – 50 %, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 % და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღების შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთ - ერთი დადებითი შეფასებით.

- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. - დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

- დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა:

ა) ძირითად სასესიო პერიოდში გამოცდაზე გასუვლელობის შემთხვევაში, მიზეზის მიუხედავად.

ბ) ძირითად სასესიო პერიოდში შეფასების Fx მიღების შემთხვევაში.

- სასწავლო კურსის / დისციპლინის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა, მათ შორის;

- შუალედური შეფასება (არის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების ქულათა ჯამი) – 60 ქულა.

- დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით.

- დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ გამოცდაზე 24 და მეტი ქულის მირების შემთხვევაში (მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი.)

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ქულის გათვალისწინებით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.

სტუდენტის აკადემიური აქტივობის შეფასება მოიცავს 4 მეთოდს.

შეფასების მეთოდებია:

1 დასწრება 5-ქულა, 1 მეცადინეობა - $(0,56 * 9 = 5)$

2. აქტიობა - 20 ქულა

3 კლინიკური უნარები -15 ქულა

4, კოლოკვიუმი - -20 ქულა.

II აქტივობა- ფასდება 3-ჯერ საშუალო არითმეტიკულით და მოიცავს შემდეგ მეთოდებს:

ა) სტუდენტის აქტივობა ჯგუფში 5 ქულა.

ბ) მსჯელობის უნარი 5 ქულა.

გ) საკითხის განზოგადოების უნარი: 5 ქულა.

დ) დისკუსია წინასწარ მითითებულ საკითხზე 5 ქულა.

ჯამი 20 ქულა.

სტუდენტი ფასდება:

5 ქულა- სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდიცირებულია, გააჩნია ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.

4 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.

3 ქულა - სტუდენტის ცოდნა არაა დამაკმაყოფილებელია, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

2 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.

1 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში, ვერ მსჯელობს დამოუკიდებლად.

0 ქულა - სტუდენტი ვერ ავლენს საკითხის თეორიულ ცოდნას, ვერ მსჯელობს საკითხის შესახებ.

III კლინიკური უნარები ფასდება 2-ჯერ საშუალო არითმეტიკულით და მოიცავს შემდეგ მეთოდებს

ა) ფუნქციური სინჯების (ყლაპვის, სუნთქვის, ღეჭვის, მეტყველების) კლინიკური გამოკვლევა და ანალიზი. 3 ქულა.

ბ) ორთოპანთომოგრამის გარჩევა და ანალიზი. 4 ქულა

გ) ფოტომეტრიული გამოკვლევა და ანალიზი. 4 ქულა

დ) თაბაშირის მოდელზე კბილთა ანომალიების დიაგნოსტიკა და ანალიზი. 4 ქულა .

ჯამი 15 ქულა

სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებია:

4 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.

3 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.

2 ქულა - სტუდენტის ცოდნა არაა დამაკმაყოფილებელია, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

1 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში, დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.

0 ქულა - სტუდენტი ვერ ავლენს საკითხის თეორიულ ცოდნას, ვერ მსჯელობს საკითხის შესახებ.

სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებია:

3 ქულა-სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.

2 ქულა-- სტუდენტი ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.

1 ქულა-სტუდენტის ცოდნა არაა დამაკმაყოფილებელია, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

0 ქულა - სტუდენტი ვერ ავლენს საკითხის თეორიულ ცოდნას, ვერ მსჯელობს საკითხის შესახებ.

- **კოლოკვიუმი - 20 ქულა;** ტარდება ერთხელ ზეპირი გამოკითხვის ფორმით; შეიცავს **2 საკითხს**, თითოეულის მაქსიმალური შეფასება - **10 ქულა**.

10 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.

9 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი.

8 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის საკმაოდ კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.

7 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.

6 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.

5 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას, შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.

4 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

3 ქულა - სტუდენტის ცოდნა არაა დამაკმაყოფილებელია, შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებლად მსჯელობისას.

2 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.

1 ქულა - სტუდენტი ავლენს საკითხის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში, ვერ მსჯელობს დამოუკიდებლად.

0 ქულა - სტუდენტი ვერ ავლენს საკითხის თეორიულ ცოდნას, ვერ მსჯელობს საკითხის შესახებ.

- დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

გამოცდის ფორმა - კომბინირებული:

ზეპირი კომპონენტები - 20 ქულა,

ტესტური კომპონენტები - 20 ქულა, 50 ტესტი, თითოეული სწორი პასუხი 0,4 ქულა, $(0.4 \times 50 = 20)$.

ზეპირი კომპონენტის ბილეთი მოიცავს 3 საკითხს. პირველი და მეორე საკითხის მაქსიმალური შეფასება 6 ქულაა, რომელიც შედგება 3 კომპონენტისგან, თითოეული კომპონენტი ფასდება 2 ქულით. მესამე საკითხი ფასდება 8 ქულით, რომელიც შედგება 4 კომპონენტისაგან და ფასდება: პირველი კომპონენტი 2 ქულით, მეორე და მესამე კომპონენტი 1,5 ქულით, მეოთხე კომპონენტი კი 3 ქულით (= 20 ქულას).

- საბოლოო შეფასება 100 ქულა.

IV კურსის VII სემესტრი

ორთოდონტია 1

საგამოცდო საკითხები

1. ორთოდონტია და ბავშვთა პროტრუზირება როგორც საგანი, მისი ისტორია და განხრები.
2. კბილთა ამოჭრის ურთიერთკავშირი ყბების ზრდასა და ყბა-კბილთა სისტემის ფორმირებაზე (სარძევე, ცვლად, მუდმივ, თანკბილვაში.)
3. კბილთა ამოჭრის ურთიერთკავშირი ყბების ზრდასა და ყბა-კბილთა სისტემის ფორმირებაზე. სარძევე თანკბილვის ფორმირებად და ფორმირებულ პერიოდში.
4. კბილთა ამოჭრის ურთიერთკავშირი ყბების ზრდასა და ყბა-კბილთა სისტემის ფორმირებაზე. ცვლადი თანკბილვის ფორმირებად და ფორმირებულ პერიოდში.
5. კბილთა ამოჭრის ურთიერთკავშირი ყბების ზრდასა და ყბა-კბილთა სისტემის ფორმირებაზე. მუდმივი თანკბილვის ფორმირებად და ფორმირებულ პერიოდში.
6. სარძევე თანკბილვის დახასიათება, ფორმირებულ და ფორმირებად პერიოდში.
7. სარძევე თანკბილვის დახასიათება და ყბების ზრდა ახალშობილობის პერიოდში.
8. სარძევე თანკბილვის დახასიათება, მზადება ცვლადი თანკბილვის პერიოდისთვის.

9. ცვლადი თანკბილვის დახასიათება,ფორმირებად და ფორმირებულ პერიოდში.
10. მუდმივი თანკბილვის დახასიათება,ფორმირებად და ფორმირებულ პერიოდში.
11. სარბევე და ცვლადი თანკბილვის ასაკობრივი თავისებურებანი.
12. ცვლადი და მუდმივი თანკბილვის დახასიათება და მათ შორის განსხვავება.
13. ყბა-კბილთა ფუნქციების (ღეჭვის, ყლაპვის, მეტყველების, სუნთვის,) ნორმა პათოლოგია.
14. ყბა-კბილთა ფუნქციების (ღეჭვის, ყლაპვის, მეტყველების, სუნთვის,)კლინიკური ტესტები.
15. ყბა-კბილთა სისტემის ეტიოლოგია და პათოგენეზი,(ენდოგენური და ეგზოგენური;პრენატალური,პოსტნატალური.)
16. ყბა-კბილთა სისტემის ენდოგენური რისკ-ფაქტორების დახასიათება. (გენეტიკური ენდოკრინოპათიები.)
17. ყბა-კბილთა სისტემის ეგზოგენური რისკ-ფაქტორების დახასიათება. (პრენატალური,პოსტნატალური.)
18. ორთოგნათიის ნიშნები. ენგლეს კლასიპიკაციის დახასიათება.
19. ენგლეს კლასიპიკაციის დახასიათება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
20. ორთოდონტიაში გამოყენებული კვლევის მეთოდების დახასიათება.(კლინიკური და დამხმარე.)
- 21.ორთოდონტიაში გამოყენებული კვლევის დამხმარე მეთოდების დახასიათება.
22. ორთოდონტიაში გამოყენებული კვლევის დამხმარე მეთოდების დახასიათება. (ბიომეტრიული,ანტროპომეტრიული,ფოტომეტრიული.)
23. ორთოდონტიაში გამოყენებული კვლევის დამხმარე მეთოდების დახასიათება.(რენდგენოლოგიური,ორთოპანტომოგრამა, ტელერენდგენოგრამა, ტომოგრაფია.)
24. კბილთა ანომალიების დახასიათება.
25. კბილთა ზომის ანომალიის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პათოგენეზი და პროფილაქტიკური მკურნალობა.
26. კბილთა რიცხვის ანომალიის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პათოგენეზი, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა.
27. კბილთა ფორმის ანომალიის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პათოგენეზი და პროფილაქტიკური მკურნალობა.
28. კბილთა დგომის ანომალიის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პათოგენეზი და პროფილაქტიკური მკურნალობა.
29. კბილთა ამოჭრის ანომალიის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პათოგენეზი და პროფილაქტიკური მკურნალობა.

30. . კბილთა მაგარი ქსოვილის ანომალიის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პათოგენეზი და პროფილაქტიკური მკურნალობა.
31. კლინიკური, ბიომეტრიული, ანთოპომეტრიული, გამოკვლევის მეთოდების დახასიათება. 32. რეტენციული კბილები მათი დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
33. მიკროდენტის დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
34. მაკროდენტის დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
35. კბილთა ადენტია, მათი დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
36. ზეკომპლექსური კბილების დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
37. კბილთა ანომალიები საგიტალურ სიბრტყეში, მათი დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
38. კბილთა ანომალიები ვერტიკალურ სიბრტყეში, მათი დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
39. კბილთა ანომალიები ტრანსვერზალურ სიბრტყეში, მათი დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
40. დიასთემა მათი დახასიათება, ეტიოლოგია, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და მკურნალობა.
41. კბილთა ნაადრევი ამოჭრის დახასიათება.
42. კბილთა დაგვიანებით ამოჭრის დახასიათება.
43. კბილთა ამოჭრის თანმიმდევრობის ანომალიების დახასიათება

ტიპობრივი საგამოცდო ტესტები:

ორთოდონტია 1

1. რომელი მიეკუთვნება კბილთა დგომის ანომალიებს?

- ა) ჰიპოდენტია;
- ბ) ჰიპერდენტი;
- გ) ტორტოანომლია;
- დ) მედალოდენტია.

2. პირით სუნთქვის დროს დმახასიათებელია:

- ა) სახის ქვედა მესამედის დამოკლება;
- ბ) პირის ნაპრალი ღია ტუჩები არ ეხება ერთმანეთს;
- გ) ტუჩ-ნიკაპის ხაზი მკვეთრად გამოხატული;
- დ) ცხვირ-ტუჩის ნაოჭი გასადავებულია.

3. რომელი კბილთა ანომალიები იწვევს ტრემების გაჩენას?

- ა) მაკროდენტია;
- ბ) მეგალოდენტია;
- გ) მიკროდენტია;
- დ) ჰიპერდენტია.